



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების  
სახელმწიფო მომსახურების  
სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

*ფ. შ. შ.*

ფრიდონ შენგელია

„*10*“ „*11*“ 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია  
ფინანსური აუდიტის ანგარიში

*N 66/00*

2014 წლის 1 იანვარი-2014 წლის 31 დეკემბერი

## შინაარსი

<b>დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....</b>	<b>3</b>
<b>მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი .....</b>	<b>4</b>
არაფინანსური აქტივები .....	4
ცვეთა .....	5
ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირება.....	7
ხარჯები.....	8
<b>უარი მოსაზრების გამოთქმაზე.....</b>	<b>9</b>
<b>სხვა მნიშვნელოვანი საკითხები .....</b>	<b>9</b>
ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები.....	9
არამატერიალური აქტივები .....	15
არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა .....	15
დებიტორული დავალიანება .....	16

## **დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში „ცესკო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ცესკოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4200) შესაბამისად. მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველის ამსახველ აბზაცში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რაც მოგვცემდა შესაბამის საფუძველს აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

## **მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი**

### **არაფინანსური აქტივები**

ცესკოში არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რითაც დარღვეულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით გათალისწინებული მოთხოვნები.

ცესკოში მიმდინარეობს 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული აქტივების და ვალდებულებების ნაშთების დაზუსტების პროცესი. შესაბამისი სამსახურის მიერ, პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით, განხორციელდა 2008-2014 წლებში შესყიდული ძირითადი საშუალებების ანალიზური აღრიცხვა და მათი შედარება საბალანსო მონაცემებთან. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკორექტირებულია ზოგიერთი აქტივის საბალანსო ღირებულება, რომელთაც არასწორად ჰქოდათ დარიცხული ცვეთის ნორმა.

ცესკოს მიერ წარდგენილი ძირითადი აქტივების რეესტრის ანალიზის შედეგად გამოვლინდა შეუსაბამობები, რაც არსებით გავლენას ახდენს აღნიშნულ მუხლებზე, კერძოდ:

- წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების რეესტრის შესაბამისად 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცესკოს ბალანსზე ირიცხებოდა 15 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომელთაგან 7 ერთეული შენობა-ნაგებობით და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთებით (საერთო ღირებულება 324.7 ათასი ლარი) ცესკო 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფაქტიურად არ სარგებლობდა, შესაბამისად შენობა-ნაგებობის მუხლი გაზრდილი თანხით იყო წარმოდგენილი.

აღნიშნული 7 ერთეული შენობა-ნაგებობა და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები ცესკოს ბალანსიდან ჩამოიწერა ცესკოს თავჯდომარის 2014 წლის 31 დეკემბრის N01-80 ბრძანებით, რომლის საფუძველს წარმოადგენს ცესკოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „შენობების დაბრუნების დოკუმენტაცია არ იძებნება, საოლქო კომისიების ხელმძღვანელი პირების სიტყვიერი განმარტებით, შენობები დაბრუნებულია მესაკუთრეებისათვის და საოლქო კომისიები განთავსებულია სხვა მისამართებზე არსებულ შენობებში“.

- აუდირებულ პერიოდში ცესკოს ბალანსზე აყვანილი იქნა 22 ერთეული შენობა-ნაგებობა და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცესკოს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების რაოდენობამ 30 ერთეული შეადგინა, მაშინ როდესაც ცესკოს სარგებლობაში არის 70 ერთეული შენობა-ნაგებობა. დანარჩენი 40 ერთეული ბალანსში არ არის ასახული, რასაც ცესკო ხსნის იმ გარემოებით, რომ 2008-2012 წლებში უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ იყო აღნიშნული მიღებული შენობა-ნაგებობების ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ქმედითი ღონისძიებების გატარება ამ მიმართულებით ცესკომ დაიწყო 2015 წლის თებერვალში.

## ცვეთა

- 2008-2014 წლებში ცესკოს მიერ შენობა-ნაგებობების გადმოცემასთან დაკავშირებით უზუფრუქტუარებთან გაფორმებულ ზოგიერთ ხელშეკრულებაში არ არის გამიჯნული შენობების საწყისი (ისტორიული) და ნარჩენი საბალანსო ღირებულება. შესაბამისად, აკუმულირებული ცვეთის გათვალისწინებით, ცესკოს 2014 წლის ბალანსში არასწორად არის წარმოდგენილი მათი ღირებულება როგორც 2014 წლის 1 იანვრის, ასევე 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ასე მაგალითად: 2012 წლის 31 აგვისტოს და 2012 წლის 20 ივნისს საჩხერის მუნიციპალიტეტისა და გორის მუნიციპალიტეტის მიერ ცესკოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შენობა-ნაგებობების გადმოცემის ხელშეკრულებებში დაფიქსირებულია ქონების ღირებულება, თუმცა არ არის განსაზღვრული წარმოადგენს ეს თანხა აქტივის საწყის (ისტორიული), თუ ნარჩენ საბალანსო ღირებულებას. მიუხედავად ამისა, ცესკომ შენობა-ნაგებობის სინთეზური აღრიცხვა მოახდინა ხელშეკრულებებში მითითებული თანხით (24.2 ათასი და

75.0 ათასი ლარი შესაბამისად) და 2012 წლიდან დაიწყო ამ ღირებულებაზე ცვეთის დარიცხვა.

- ცესკოს მიერ უზუფრუქტუარებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, ცესკოსთვის გადმოცემული ზოგიერთი შენობა წარმოადგენს მრავალსართულიან (ორსართულიანზე მეტი) ან ერთსართულიან შენობას (ან მის ნაწილს), ზოგიერთი შენობა-ნაგებობის სართულების შესახებ ინფორმაცია კი არ არის მითითებული. ცესკოს მიერ, ფიზიკური ცვეთის ნორმად ბალანსზე რიცხული ყველა შენობა-ნაგებობის მიმართ გამოყენებულია 1.2%, მაშინ როდესაც „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების მიხედვით, ერთსართულიან და მრავალსართულიან შენობებზე დარიცხული ფიზიკური ცვეთის ნორმად დადგენილია 1%.
- ცესკოს თავჯდომარის 2010 წლის N01-120 ბრძანებით<sup>1</sup>, ცესკომ სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარებისა და რეფორმების სწავლების ცენტრს“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს თანხმობით<sup>2</sup>, უსასყიდლოდ გადასცა მის სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობის მეხუთე სართულის სამხრეთ ფლიგელი 378,65 კვ.მ საერთო ფართობით. აღსანიშნავია, რომ არც ბრძანებაში და არც ქონების გამცემსა და მიმღებს შორის 2010 წლის 17 ნოემბერს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში, გადაცემული უძრავი ქონების ღირებულება დაფიქსირებული არ არის. სსიპ-ის ბალანსზე უძრავი ქონება აისახა საბაზრო ღირებულებით, კერძოდ სსიპ-ის მიერ დაქირავებული ექსპერტის<sup>3</sup> შეფასების თანხით-346.6 ათასი ლარი. ცესკომ სსიპ-ისთვის გადაცემული აქტივი ბალანსიდან ჩამოწერა არა საბალანსო ღირებულებით (88.3 ათასი ლარი), არამედ ექსპერტის შეფასების თანხით. შესაბამისად, ცესკოს ადმინისტრაციული შენობა, მასზე დარიცხული ცვეთის გათვალისწინებით 2014 წლის დასაწყისისთვის ბალანსზე აღრიცხული იყო 283.5 ათასი ლარით ნაკლები ღირებულებით, რომლის კორექტირება განხორციელდა 2014 წლის 31 დეკემბერს.

<sup>1</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრისთვის ქონების გადაცემის შესახებ.

<sup>2</sup> 2010 წლის 29 ოქტომბრის წერილი N15/1575/1-10

<sup>3</sup> სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

- 2012 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ცესკოსთვის გადმოცემის მომენტისათვის უკვე ამორტიზირებული ძირითადი აქტივების ჩამოწერა ცესკოს ძირითადი საშუალებების ანგარიშიდან განხორციელდა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული აქტივები ცესკოს ბალანსზე აყვანილი იყო 2012 წლის 14 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ისტორიული ღირებულებით (247.1 ათასი ლარი) და მათ 2012-2013 წლებში ერიცხებოდათ ცვეთა, რაც შეუსაბამობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად სრულად გაცვეთილი აქტივები უნდა ასახულიყო საცნობარო მუხლში-ამორტიზირებული ძირითადი აქტივები და არ უნდა მომხდარიყო მათი ისტორიული ღირებულებით ბალანსზე ასახვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ბალანსში ასახული არაფინანსური აქტივების სისრულეში, სისწორესა და არსებობაში.

### **ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირება**

ცესკოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ბალანსის (N02-04/281, 27.02.2015) განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნაერთ ანგარიშგებაში ერთიანდება ცენტრალური საარჩევნო კომისია და სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, შტამპი, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ცესკო საარჩევნო კომისიებზე გადარიცხულ თანხებს აღრიცხავს „მოთხოვნები სხვა წინასწარ გადახდილი გადასახდელებით“ ანგარიშზე. ფაქტიურად საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო პერიოდის ბოლოს ცესკოს წარუდგენენ არა ბალანსს, არამედ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 53-ე

მუხლის მე-5 პუნქტით<sup>4</sup> განსაზღვრულ საფინანსო ანგარიშს. ცესკო არ ახორციელებს საარჩევნო კომისიების მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების შემოწმებას და საოლქო საარჩევნო კომისიების მიმართ რიცხულ დებიტორულ დავალიანებას ჩამოწერს „სხვა ხარჯების“ მუხლზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე, საოლქო საარჩევნო კომისიამ ცესკოში უნდა წარადგინოს დამოუკიდებელი ბალანსი, ხოლო ცესკომ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას უნდა მოახდინოს საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირება, რაც შესრულებული არ არის.

## **ხარჯები**

ცესკოში ადგილი ჰქონდა ხარჯების დაგვიანებით ჩამოწერასთან დაკავშირებულ ხარვეზებს, რომლის შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები შემცირებულად ან გაზრდილად არის წარმოდგენილი და არაზუსტად ასახავს 2014 წელს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობას. ასე მაგალითად, 2014 წელს ჩამოიწერა ცესკოს თანამშრომელთა 2012-2013 წლების ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები 86.1 ათასი ლარის ოდენობით.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში ცესკოს მიერ შემენილია მის სარგებლობაში არსებული, ბალანსზე აღრიცხული და აღურიცხავი შენობა-ნაგებობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების მომსახურება. სარემონტო სამუშაოები ცესკოს ბუღალტურ ბაზაში დამატებულია შენობა-ნაგებობების ღირებულებაზე, თუმცა 2014 წელს ძირითად აქტივებზე დარიცხული ცვეთის გაანგარიშებისას სარემონტო სამუშაოების ღირებულება (190.8 ათასი ლარი) გათვალისწინებული არ არის, რის შედეგადაც ცესკოს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი როგორც 2014 წლის ცვეთის ხარჯი, ასევე შენობა-ნაგებობების ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

---

<sup>4</sup> საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან 10 დღის ვადაში ცესკოს ანგარიშზე რიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს.



## უარი მოსაზრების გამოთქმაზე

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

### ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ცესკოს საბიუჯეტო ასიგნებათა დამტკიცებული გეგმა განესაზღვრა 54,500.0 ათასი ლარით.

ცესკოს მიერ საბიუჯეტო განაცხადები წარდგენილი<sup>5</sup> იყო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.

ათასი ლარი

		<b>09.05.2013</b>	<b>29.08.2013</b>	<b>30.12.2013</b>
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	49,327.00	55,000.00	54,500.00
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	7,560.00	7,800.00	6,770.20
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	2,8350.00	3,5700.00	2,8000.00
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,575.00	690.00	650.00
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	11,842.00	10,810.00	19,079.80

2014 წლის ბიუჯეტის კანონის შესაბამისად 0604 პროგრამული კოდით (პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება)

<sup>5</sup> „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ცესკო ყოველწლიურად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადს, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება.

გამოყოფილი ასიგნება 8,269.80 ათასი ლარით აღემატება 2013 წლის 29 აგვისტოს საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებულ ოდენობას. ცესკოს განმარტებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-11 პუნქტში, 2012 წლის 22 ივნისის N6551-ის კანონით<sup>6</sup> შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე მათ მიერ საბიუჯეტო განაცხადში არ იყო გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების დაფინანსების თანხები.

ცესკოს წლიური საბიუჯეტო ასიგნებები გაზრდილია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის N1138 განკარგულებით, 2014 წლის 15 ივნისის ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივ დაფინანსებისათვის გამოყოფილი იქნა 3,000.0 ათასი ლარი.
- ცესკოს თხოვნით (წერილი N01-06/1708, 01.08.2014), ვინაიდან მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 3,000.0 ათასი ლარიდან, შრომის ანაზღაურების მუხლში წარმოქმნილი იყო ეკონომია 404.4 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის N1138 განკარგულებაში შესულია ცვლილება (საქართველოს მთავრობის N1447 განკარგულება) და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა განისაზღვრა: „2014 წლის 15 ივნისის ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივი, ასევე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე, არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიების ნაწილობრივი დაფინანსება“.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N1327 განკარგულებით, 2014 წლის 15 ივნისის ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიისათვის გაწეული ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოიყო 1,770.185 ათასი ლარი.

<sup>6</sup> 30-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარტია საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც უნდა წარედგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ყოველწლიურად, არა უგვიანეს 25 ნოემბრისა. თუ პარტიამ კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა წერილობითი თანხმობა მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების თაობაზე, ამ ვადის გასვლიდან მეორე დღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახური წერილობით აცნობებს პარტიას ამის შესახებ. პარტიას უფლება აქვს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შესაბამისი თანხმობა. თუ პარტიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში კვლავ არ წარადგინა შესაბამისი თანხმობა, იგი კარგავს მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლებას, რის შესახებაც მას სახელმწიფო აუდიტის სამსახური წერილობით აცნობებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებულია პარტიის მიერ მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლების დაკარგვიდან 5 დღეში აღნიშნული თანხა დააბრუნოს სახელმწიფო ბიუჯეტში“.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 3,000.0 ათასი ლარი სრულად არ იქნა ათვისებული. კერძოდ, სააჩვენო სუბიექტის „ნინო-ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ არ გამოუყენებია სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად გამიზნული 434.1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა დაბრუნებულია მთავრობის სარეზერვო ფონდში (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N60-2, 17.11.2014).

### ინფორმაცია

#### მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 3.0 მლნ ლარის ხარჯვის შესახებ (ათასი ლარი)

შტატგარეშე მომუშავეთა 2014 წლის ივლისის თვის თანამდებობრივი სარგო	<b>163,074.00</b>
შტატგარეშე მომუშავეთა 2014 წლის ივლისის თვის დანამატი	<b>77,275.00</b>
2014 წ. 15 ივნ. ადგ. თვითმმართველობის მეორე ტურისათვის საარჩ. ოლქ. შემავალი საუბნო საარჩ. კომ. შრ. ანაზღ. ხარჯ. დაფინანსება	<b>1,719,358.05</b>
პოლიტ. პარტ. საარჩ.კამპ. ფინანს. მხარდაჭერის მიზნით სატ. რეკლ. განთავსების ხარჯების დაფარვა	<b>199,896.80</b>
2014 წლის პოლიტპარტიების დაფინანსება (სექტემბერი)	<b>405,045.00</b>
დაბრუნებულია მთავრობის სარეზერვო ფონდში	<b>435,351.15</b>
	<b>3,000,000.00</b>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცესკოს დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 58,835.1 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის N1138 განკარგულებით ცესკოსათვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი თანხის გამოყოფის საფუძველს წარმოადგენდა 2014 წლის 20 ივნისის N01-06/1292 წერილი. ცესკომ თხოვნით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მისთვის არჩევნების მეორე ტურის ჩასატარებლად დამატებითი თანხის 5,756.0 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე. წერილში აღნიშნულია, რომ 060201 პროგრამული კოდის „არჩევნების ჩატარების ღონისძიებები“- საქონლისა და მომსახურების მუხლში წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 500.0 ათას ლარს, ხოლო 06 04 02 პროგრამული კოდის - „პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარება“ - სხვა ხარჯების მუხლში ეკონომია შეადგენს 2,237.0 ათას ლარს. ამავე დროს, სახაზინო სამსახურის მონაცემების თანახმად, 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით აღნიშნული მუხლების მიხედვით ათვისებული იყო 1,696.7 ათასი ლარი და 2,511.4 ათასი ლარი


შესაბამისად, ხოლო მთლიანად 06 02 კოდის მიხედვით რესურსი შეადგენდა 13,071.2 ათას ლარს.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება არჩევნების მეორე ტურისათვის დამატებითი თანხების მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის აპრილ-სექტემბერში ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე, აგრეთვე შტატგარეშე თანამშრომლებზე დანამატის სახით გაცემული იქნა 2,700.0 ათასი ლარი.

2014 წლის განმავლობაში პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელდა 25 ცვლილება. ასიგნებათა გადანაწილება განხორციელებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონით დაწესებული ლიმიტის ფარგლებში.

ხარჯთაღრიცხვის ცვლილების დოკუმენტები შესაბამისობაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესით“ განსაზღვრულ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებთან.

2014 წლის განმავლობაში ცესკოს მიერ გაწეულმა საკასო ხარჯმა 57,599,942.78 ლარი ანუ დაზუსტებული ასიგნებების 97.90 პროცენტი შეადგინა. გაწეული ხარჯის 45.0 პროცენტს (25,967.3 ათასი ლარი) შრომის ანაზღაურება, ხოლო 38.0 პროცენტს (22,147.9 ათასი ლარი)-სხვა ხარჯები შეადგენს.



ცესკოს მიერ ძირითადი ხარჯი, ანუ მთლიანი ხარჯის 51.25 პროცენტი გაწეულია ივნის-ივლისში ანუ არჩევნების პირველი და მეორე ტურის ჩატარების პერიოდში.

ინფორმაცია											
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაწეული საკასო ხარჯის შესახებ (ათასი ლარი)											
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1,705.60	1,662.71	1,471.80	4,998.23	5,829.29	11,115.69	18,403.57	3,695.25	1,597.15	2,259.95	1,960.63	2,900.07

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ცესკოსათვის მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრა 476 ერთეულით, ხოლო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის N327 განკარგულებით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიეცა თანხმობა შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა განესაზღვრა 1170 ერთეულით, მათ შორის აპარატისათვის 220 ერთეულით, საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის 700 ერთეულით, ხოლო სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისათვის 250 ერთეულით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-9 მუხლის 1 პუნქტის თანახმად საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში, გარდა შუალედური არჩევნების პერიოდისა, ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს, ასევე ცესკოს აპარატისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე როგორც ცესკოს შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე, აგრეთვე შტატგარეშე თანამშრომლებზე 2014 წლის აპრილ-ივლისში 9-ჯერ, (მათ შორის ივნისსა და ივლისში სამ-სამჯერ), ხოლო საოლქო კომისიის წევრებზე ერთხელ გაცემულია დანამატი. სულ დანამატის სახით გაცემულმა თანხამ 1,803.5 ათასი ლარი შეადგინა.

2014 წლის განმავლობაში ცესკოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილეზე, მდივანზე, ცესკოს მოქმედ და ყოფილ წევრებზე, განყოფილების უფროსებზე (სულ 35 კაცი) შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯი 2,884.3 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის თანამდებობრივი სარგო 1,386.5 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯის 48.07 პროცენტი) , პრემია 615.5 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯის 21.34 პროცენტი) და დანამატი 882.3 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯის 30.59 პროცენტი).

რაც შეეხება ზემოაღნიშნული პირების პრემიებზე გაწეულ ხარჯს, ის პრემიის მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯის 40.4 პროცენტს, ხოლო დანამატის სახით გაწეული ხარჯი, ამ მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯის 47.0 პროცენტია.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, დადგენილების გამოქვეყნებიდან 60 დღის შემდეგ, ცესკო-ს 2014 წლის 15 სექტემბრის N44/2014 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციასა და სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი.

2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ პრემიები ცესკოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილეზე, მდივანზე, წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე, ასევე ცესკოს შტატგარეშე თანამშრომლებზე გაიცა სამჯერ. კერძოდ, მე-3 და მე-4 კვარტლის პრემია, ასევე, პრემია გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით.

აღნიშნული თარიღის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემთხვევებს რომლებიც შეიძლება განხილული იქნას როგორც პრემიების დანამატით ჩანაცვლების ფაქტები. ასე მაგალითად, ცესკო-ს თავმჯდომარის 2014 წლის 31 ოქტომბრის N05-34 ბრძანებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს-საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N48 ხარაგაულის საარჩევნო ოლქის N48/05 ვახანის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნებისათვის გაწეული საქმიანობისათვის დანამატები გაიცა ცესკოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილეზე, მდივანზე, წევრებზე, თანამდებობრივი სარგოს 50%, ხოლო აპარატის ზოგიერთ თანამშრომელსა და შტატგარეშე მოსამსახურეებზე თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით (30 კაცი, 58, 975.0 ლარი). 2014 წლის 25 დეკემბრის N05-42 ბრძანებით დანამატები, 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტის მომზადებისათვის გაწეული მუშაობისათვის, გაიცა ცესკოს წევრებსა და ზოგიერთ თანამშრომელზე (5 კაცი, 10,395.0 ლარი). 2014 წლის 25 დეკემბრის N05-43 ბრძანებით დანამატები, წლის მანძილზე გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით გაიცა ცესკოს სატენდერო კომისიის წევრებსა და კომისიის აპარატის თანამშრომლებზე (8 კაცი, 25,555.0 ლარი).

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცესკოს ბალანსზე ერიცხებოდა 16 ავტომანქანა. ცესკოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების მიერ საწვავის ხარჯვა ხორციელდება თავმჯდომარის ბრძანებებით დადგენილი ლიმიტების შესაბამისად, რომლებიც საარჩევნო პერიოდში იზრდება 50%-ით. ცესკოს მიერ ვერ იქნა

წარმოდგენილი შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები დამტკიცებული ლიმიტების დასაბუთებულობის შესახებ.

### არამატერიალური აქტივები

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე 2014 წლის 1 იანვრისთვის ირიცხებოდა 2010-2013 წლებში შეძენილი 1 წლის სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სხვადასხვა დასახელების არამატერიალური აქტივი (პროგრამული პაკეტი, ლიცენზიები და ა.შ). ვინაიდან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, ერთწლიანი გამოყენების კომპიუტერული პროგრამების შეძენა-განახლების ხარჯის გაწევა გათვალისწინებულია ოფისის ხარჯების მუხლიდან, ცესკოს თავჯდომარის 2014 წლის 31 დეკემბრის N01-79 ბრძანებით განხორციელდა 22.8 ათასი ლირებულების არამატერიალური აქტივების ჩამოწერა. შესაბამისად, 2014 წლის ბალანსში არამატერიალური აქტივების საწყისი ღირებულება არასწორად არის წარმოდგენილი.

### არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა

2014 წლამდე ცესკოში წარმოებდა არაფინანსური აქტივების მხოლოდ სინთეზური აღრიცხვა, რაც შესაბამისაა „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის 21-ე პუნქტის<sup>7</sup> მოთხოვნებთან. 2014 წელს ცესკოს ბუღალტრულ ბაზაში განხორციელდა სინთეზურად აღრიცხული:

- არასაცხოვრებელი შენობები - 966.5 ათასი ლარი.
- სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 1,076.9 ათასი ლარი.

<sup>7</sup> სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველთვიურად დგება ბრუნვათა უწყისები ანალიზური ანგარიშების ყოველი ჯგუფისათვის და ბრუნვათა უწყისების ანალიზურ ანგარიშებზე ბრუნვები და ნაშთები უდარდება „ მთავარი წიგნის“ შესაბამისი ანგარიშების ნაშთებს.

- სხვა ძირითადი აქტივები - 139.1 ათასი ლარი.

ანალიზური აღრიცხვა.

## დებიტორული დავალიანება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცესკოს დებიტორული დავალიანება შეადგენს 1,051.9 ათას ლარს, მათ შორის: 63.8 ათასი ლარი წარმოადგენს ცესკოს სტამბისათვის განკუთვნილი ფართის სარემონტო სამუშაოებისათვის ფირმა „კ და გ“-თვის წინასწარ გადარიცხულ თანხას. (2014 წლის 4 დეკემბრის N4/12/1 ხელშეკრულება); 158.0 ათასი ლარი წინასწარ იქნა გადარიცხული შპს „მეხამრიდისათვის“, სტამბისათვის განკუთვნილ ფართში გათბობა-გაგრილების, ვენტილაციის სისტემის მონტაჟის სამუშაოების ჩატარებისათვის (2014 წლის 4 დეკემბრის N4/12/2 ხელშეკრულება); 14.5 ათასი ლარი მომდინარეობს 1995 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდიდან; 1.7 ათასი ლარი საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის არჩევნების ჩასატარებლად ქვეყნის საზღვრებს გარეთ ოლქებისა და უბნების მოწყობის ხარჯებია; 772.6 ათასი ლარი სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე 2014 წელს დაფინანსებული საგრანტო პროექტების ხარჯებში ჩამოუწერილი თანხებია. 32.4 ათასი ლარი წარმოადგენს 2008 წლის 13 აგვისტოს საარჩევნო კომისიის ერთ-ერთ წევრზე 2008 წლის 13 აგვისტოს განხორციელებული თავდასხმის დროს გატაცებული, ცესკოს ბალანსზე რიცხული, ავტომანქანის ღირებულებას. ცესკოში არსებული ბოლო ინფორმაციით, რომელიც თარიღდება 2009 წლის 6 აპრილით (საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი Nგ.06.04.2009/27) აღნიშნულ საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს ძიება.

## კრედიტორული დავალიანება

ცესკოს კრედიტორული დავალიანება 2,959.3 ათასი ლარის ოდენობით, წარმოადგენს 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საარჩევნო საოლქო კომისიის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, დამქირავებლიდან ანარიცხებისა და საადვოკატო მომსახურების დავალიანებას.



ცესკოში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 2011-2012 წლების პერიოდის აუდიტის ანალოგიურად, ვერ დავრწმუნდით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აღნიშნული კრედიტორული დავალიანების აღიარების კანონიერებასა და სიზუსტეში.

უფროსი აუდიტორი



მერაბ ზაიცევი

უფროსი აუდიტორი



ლაშა ჭანტურიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი



ალეკო იობიძე

აუდიტორ-ასისტენტი



ვახტანგ პერტავა

აუდიტორ-ასისტენტი



ირაკლი ქანთარია